

საკრედიტო ბარათის პირობები

შინაარსი	
შესავალი	3
ტერმინთა განმარტებები	3
კლიენტის განცხადებები	4
საკრედიტო ლიმიტი	4
პროცენტის და სხვა გადასახდელის დარიცხვა	4
საკრედიტო ბარათით გახარჯული თანხის გადახდა	4
ვადაგადაცილება და სანქციები	5
ნებადართული ოპერაციები	6
საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები	6
საკრედიტო ლიმიტის ვალუტა	6
პასუხისმგებლობა	6
ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ	6
თანხების უაქცეპტო წესით ჩამოჭრა	6
დამატებითი ბარათები	7
ავტორიზაცია	7
შეღავათიანი პირობები და წამახალისებელი აქციები	7
შეტყობინების ვალდებულება	7
კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია	7
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა	8
დასკვნითი დებულებები	8
საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები	9

1. შესავალი

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **საკრედიტო ბარათით** მომსახურების პირობებს (შემდგომში - **პირობები**).
- 1.2. **ბანკსა და კლიენტს შორის საკრედიტო ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში ხელშეკრულება), რომელიც შედგება:
 - 1.2.1. **კლიენტის** მიერ შევსებული და **მხარეების** მიერ ხელმოწერილი **განაცხადისგან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 1.2.2. **მხარეთა** შორის გაფორმებული **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისგან;
 - 1.2.3. წინამდებარე **პირობებისგან**;
 - 1.2.4. **საკრედიტო ბარათით** სარგებლობის **ბანკში** დადგენილი ტარიფებისგან, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს;
 - 1.2.5. **ბანკში** არსებული **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებისგან**.
- 1.3. წინამდებარე **პირობების** საგანს წარმოადგენს:
 - 1.3.1. **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული დებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად **კლიენტისათვის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე **საკრედიტო ლიმიტის** დაშვება;
 - 1.3.2. **კლიენტის** მიერ მისი **საკრედიტო ლიმიტით** სარგებლობის წესების განსაზღვრა; და
 - 1.3.3. **მხარეთა** მიერ ამ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების წესის განსაზღვრა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ლიმიტის**, მასზე დარიცხული **პროცენტის**, საკომისიოს, **გადახარჯული თანხის** და წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დავალიანების გადახდის წესების განსაზღვრას.
- 1.4. **კლიენტი** ვალდებულია წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების გამოყენებისათვის ყურადღებით გაეცნოს წინამდებარე და **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს** და სრულად შეასრულოს ისინი. იგი ასევე პასუხისმგებელია დამატებითი ბარათის მფლობელების მიერ ხსენებული **პირობების** გაეცნობასა და მათ სრულად შესრულებაზე.
- 1.5. **საკრედიტო ბარათის განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერით **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
 - 1.5.1. **საკრედიტო ბარათის განაცხადი** შეავსო სრულად;
 - 1.5.2. მის მიერ **განაცხადში** შევსებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი;
 - 1.5.3. **განაცხადის** ხელმოწერაზე სრულად გაეცნო წინამდებარე **პირობებს**, ტარიფებსა და **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს**;
 - 1.5.4. წინამდებარე **პირობებსა** ან ხელშეკრულებაში არ არსებობს გაურკვევლი პუნქტი და ხელშეკრულებას განიხილა **ბანკის** შესაბამის წარმომადგენელთან და სრულად მისაღებად მისთვის; და
 - 1.5.5. შესაბამისი ველის მონიშვნის შემთხვევაში თანახმაა **ბანკში** არსებული მისი ნებისმიერი ანაზღაურებადი გაოქმუნებულ იქნას წინამდებარე **საკრედიტო ლიმიტის** უზრუნველყოფის საშუალებად.

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭება შემდეგი მნიშვნელობა:
 - 2.1.1. **აგრორიზაცია** - თანხმობა საბანკო ოპერაციის განხორციელებაზე;
 - 2.1.2. **ა.შ.შ. დოლარი** - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ფულის ერთეული;
 - 2.1.3. **ბანკი** - სს. ლიბერთი ბანკი, რეგისტრაციის თარიღი: 27 მარტი, 1995 წელი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304, საბანკო ლიცენზია № 0110247, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის 74;
 - 2.1.4. **დანაგარიშების თარიღი** - ყოველი თვის ბოლო კალენდარული დღე;
 - 2.1.5. **გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი ან გადახარჯული თანხა** - **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის** შედეგად დაშვებულ **საკრედიტო ლიმიტსა** და **საკრედიტო ბარათით** რეალურად გახარჯულ თანხას შორის არსებული სხვაობა;
 - 2.1.6. **გადახდის პერიოდი** - პერიოდი ყოველი თვის პირველი კალენდარული დღიდან ოცდახუთი (25) რიცხვის ჩათვლით, როდესაც **კლიენტს** აქვს **მინიმალური გადასახადის** გადახდის ვალდებულება. თუ გადახდის პერიოდის ბოლო დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს გადახდის პერიოდი სრულდება მომდევნო **საბანკო დღეს**;
 - 2.1.7. **განაცხადი ან საკრედიტო ბარათის განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია საკრედიტო მომსახურების მიღების შესახებ, რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), რაც ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
 - 2.1.8. **ვეერი** - ევროკავშირის ზოგადი წევრი ქვეყნის, აგრეთვე მონტენეგროს, ანდორას, მონაკოს, სან მარინოს, ვატიკანის და კოსოვოს ოფიციალური ფულის ერთეული;
 - 2.1.9. **ვადაგადაცილების თარიღი** - **გადახდის პერიოდის** ბოლო დღის მომდევნო დღე, თუ **საკრედიტო ბარათზე** ნებისმიერი სახის დავალიანების

- არსებობის შემთხვევაში **კლიენტი გადახდის პერიოდში** არ გადაუხდის **ბანკს** სულ მცირე **მინიმალურ გადასახადს**;
- 2.1.10. **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;
- 2.1.11. **ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;
- 2.1.12. **ვადაგადაცილებული დავალიანება** - **კლიენტის სრული დავალიანება ბანკის** წინაშე, რომელიც არ არის გადახდილი წინამდებარე **პირობებით** დადგენილ ვადებში;
- 2.1.13. **კლიენტი** - პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მითითებულია **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზე **ბანკის** თანხმობით სარგებლობს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურებით ან/და პროდუქტებით;
- 2.1.14. **კლიენტის დეფოლტი** - **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების;
- 2.1.15. **ლარი** - საქართველოს ოფიციალური ვალუტა;
- 2.1.16. **ლიბერთი ანგარიში** - **ბანკში** არსებული **კლიენტის** მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში;
- 2.1.17. **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობები** - ლიბერთი ანგარიშის მომსახურების **ბანკის** მიერ დადგენილი პირობები, რომელიც **ბანკის** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს;
- 2.1.18. **მინიმალური გადასახადი** - **საკრედიტო ბარათის** მეშვეობით ათვისებული თანხის ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური ოდენობა, რომელიც მოიცავს: ა) **საკრედიტო ბარათზე** დაშვებული **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული თანხის 5.00%-ს (სუთი პროცენტი); ბ) **საკრედიტო ბარათზე** დაშვებული **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული თანხაზე ტარიფების შესაბამისად დარიცხულ **პროცენტს**; გ) ტარიფების შესაბამისად დარიცხულ **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) **გადახარჯული თანხას** (ასეთის არსებობისას); ე) **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტს** (ასეთის არსებობისას); ვ) განვლილ **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** წარმოშობილ და დაუფარავ **ვადაგადაცილებულ დავალიანებას** (ასეთის არსებობისას); ზ) განვლილ **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** **ბანკის** მიერ დაუარიცხავ ან ვადაგადებულ ნებისმიერ სხვა გადასახდელს (ასეთის არსებობისას);
- 2.1.19. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **კლიენტი** ან/და დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ) კონტექსტის შესაბამისად;
- 2.1.20. **საკრედიტო ბარათის მთლიანი დავალიანება ან მთლიანი დავალიანება** - **დანაგარიშების თარიღისთვის საკრედიტო ბარათზე** არსებული **სრული დავალიანება**;
- 2.1.21. **ნულოვანი პროცენტის პირობა** - პირობა, რომლითაც **კლიენტი** უფლებამოსილია უპროცენტოდ ისარგებლოს **საკრედიტო ლიმიტით** **საანგარიშგებო პერიოდის** განმავლობაში. აღნიშნული პირობა დგება იმ შემთხვევაში, თუ: ა) **საკრედიტო ბარათის** ანგარიშის ნაშთი **დაანგარიშების თარიღზე** არის ნულის ტოლი ან დადებითი; ან ბ) **კლიენტი გადახდის პერიოდში** სრულად დაფარავს **საკრედიტო ბარათის მთლიან დავალიანებას**, რომელიც **გადახდის პერიოდში** შესაძლებელია დაიფაროს როგორც ერთიანად ასევე ნაწილ-ნაწილად;
- 2.1.22. **საანგარიშგებო პერიოდი** - მოიცავს ერთ კალენდარულ თვეს - თვის პირველი კალენდარული დღიდან ბოლო კალენდარული დღის ჩათვლით;
- 2.1.23. **საბანკო პლასტიკური ბარათი ან საბანკო ბარათი ან პლასტიკური ბარათი** - **ბანკის** მიერ **კლიენტზე ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად გაცემული VISA Classic payWave-ის ან/და MasterCard Standard PayPass-ის ტიპის საბანკო პლასტიკური ბარათი, რომლით სარგებლობისა და უსაფრთხოების პირობები განისაზღვრება **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებისა** და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 2.1.24. **საბანკო დღე** - **ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;
- 2.1.25. **საკრედიტო ბარათი** - **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დამზადებული Magic Card საკრედიტო ბარათი, განვადების ბარათი „შოპინგ ქარდი“, მასწავლებლის საკრედიტო ბარათი ან/და სხვა სახის საკრედიტო ბარათ(ებ)ი, რომელიც შესაძლებელია **ბანკმა** დრო და დრო გამოუმშავს და შესთავაზოს **კლიენტებს** და რომელზეც დაიშვება **ბანკის** მიერ განსაზღვრული **საკრედიტო ლიმიტი**. **საკრედიტო ბარათი** შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ისე ნებისმიერი დამატებითი **საბანკო პლასტიკური ბარათი**;
- 2.1.26. **საკრედიტო ბარათის გაუქმება** - **საკრედიტო ბარათის** მოქმედების შეწყვეტა;
- 2.1.27. **საკრედიტო ბარათის დეფოლტი** - **კლიენტის** მიერ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების გადაუხდელობა, რომელიც უწყვეტად გრძელდება **ვადაგადაცილების თარიღიდან** სულ მცირე 60 (სამოცი) დღე მაინც;
- 2.1.28. **საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო** ან **დეფოლტის პირგასამტეხლო** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;
- 2.1.29. **საკრედიტო ლიმიტი** - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც **კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს **ბანკის** მიერ **საკრედიტო ბარათზე** დაშვებული საკრედიტო რესურსით;

საკრედიტო ბარათის პირობები

- 2.1.30. **საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება** - საკრედიტო ლიმიტის გახარჯვის უფლების შეჩერება;
- 2.1.31. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა** - საკრედიტო ბარათზე დაშვებული ლიმიტის ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხის ნებისმიერი სახით გამოყენება;
- 2.1.32. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი** ან **გადახარჯვის პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
- 2.1.33. **საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა** - 12 (თორმეტი) თვე საკრედიტო ბარათის გაცემის ან **საკრედიტო ლიმიტის ზანვის** მიერ გადახედვის თარიღიდან, თუ ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე რაიმე სხვა არ არის განსაზღვრული.
- 2.1.34. **საპროცენტო განაკვეთი** ან **პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
- 2.1.35. **სრული დავალიანება** - კლიენტის მიერ საკრედიტო ბარათის სარგებლობასთან დაკავშირებული **ზანვის** წინაშე წარმოქმნილ კლიენტის ვალდებულებათა ერთობლიობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ **პროცენტს**, პირგასამტეხლოსა და საკომისიოებს (მათი არსებობის შემთხვევაში);
- 2.1.36. **VISA P2P სერვისი** - VISA-ს საერთაშორისო საგადახდელო სისტემაში ჩართული ერთი **საბანკო ბარათიდან** მეორე **საბანკო ბარათზე** თანხის გადარიცხვის შესაძლებლობა ბანკომატის მეშვეობით.

3. კლიენტის განცხადებები

- 3.1. **კლიენტი საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით ან/და **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:
- 3.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებები(ებ) და **განაცხადებით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებები;
- 3.1.2. **კლიენტის** მიერ **ზანვისათვის განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;
- 3.1.3. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია **კლიენტი**. ამ **პირობებით** განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის **მხარესაც** წარმოადგენს **კლიენტი**;
- 3.1.4. **კლიენტი** არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე;
- 3.1.5. **კლიენტი** არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმსა ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში).
- 3.1.6. **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).
- 3.2. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში.
- 3.3. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს) ამ ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას.
- 3.4. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ზანვს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.
- 3.5. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ზანვის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ზანვს** აუნაზღაუროს და დაიცვას **ზანვი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ზანვი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

4. საკრედიტო ლიმიტი

- 4.1. **განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შევსებით **კლიენტი** ადასტურებს თავის ნებას მიიღოს **საკრედიტო ბარათი** და მასზე დაშვებული **საკრედიტო ლიმიტი**.
- 4.2. **კლიენტის** მიერ **განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსება და ხელმოწერა ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა არ ავალდებულებს **ზანვს** უპირობოდ გაუწიოს **კლიენტს** წინამდებარე **პირობებით** და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 4.3. **საკრედიტო ლიმიტის** ზღვრული ოდენობა განისაზღვრება **ზანვის** თვითპროფუნული გადაწყვეტილებით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფიქსირებული მოთხოვნის გათვალისწინებით.
- 4.4. **საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტი** მტკიცდება **საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადით**. იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ლიმიტი** უზრუნველყოფილია ანაზრით, მისი მოქმედების ვადა წყდება ანაზრის მოქმედების ვადის ბოლო დღეს ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღზე. მიუხედავად წინამდებარე პუნქტის დებულებებისა, **ზანვი** უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების ნებისმიერი სხვა ვადა.
- 4.5. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს **საკრედიტო ლიმიტის** გაზრდა ან შემცირება, მაგრამ **ზანვი** უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება **საკრედიტო ლიმიტის** გაზრდის ან შემცირების შესახებ, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.
- 4.6. თუ **კლიენტი საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის** ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით არ მოითხოვს **საკრედიტო ლიმიტის** შეწყვეტას (და შესაბამისად **საკრედიტო ბარათის გაუქმებას**), **ზანვი** უფლებამოსილია **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების თითოეული ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში თავისი შეხედულებისამებრ გადახედოს **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ლიმიტს და დამატაცივს (ან არ დამატაცივს) ის **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების მომდევნო ვადით.
- 4.7. **ზანვი** უფლებამოსილია, რომ **კლიენტის** მოთხოვნის ან **ზანვის** მიერ მისთვის ყოველგვარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე ნებისმიერ დროს გაზარდოს ან შეამციროს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტი**, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.
- 4.8. **ზანვი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაიკამოფილოს თავისი მოთხოვნა ანაზრის თანხიდან, იმ შემთხვევაში თუ ანაზრით უზრუნველყოფილი **საკრედიტო ლიმიტით** მოსარგებლე **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **პირობებს**.
- 4.9. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი იქონიოს 100 (ასი) **ლარზე / ა.შ.შ. დოლარზე / ევროზე** მეტი ოდენობის დადებითი ნაშთი **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე ნებისმიერ დროს აღმოჩნდება 100 (ასი) **ლარზე / ა.შ.შ. დოლარზე / ევროზე** მეტი ოდენობის დადებითი ნაშთი, **ზანვი** უფლებამოსილია ასეთი ჯარბი თანხა უაქცეპტოდ გადარიცხოს **ზანვში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერ ანგარიშზე (მათ შორის **ლიბერთი ანგარიშზე**).
- 4.10. იმ შემთხვევაში, თუ **ზანვი საკრედიტო ლიმიტის** გადახედვის შედეგად უზემცირებს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტს** და შედეგად **კლიენტის** მიერ ათვისებული თანხა გადააჭარბებს ახლად დამტკიცებულ შემცირებულ **საკრედიტო ლიმიტს**, **კლიენტი** ვალდებული იქნება დაფაროს წარმოშობილი სხვაობა მისი (სხვაობის) წარმოშობიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** ვადაში.

5. პროცენტის და სხვა გადასახდელების დარიცხვა

- 5.1. თუ **კლიენტი** არ ისარგებლებს **ნულოვანი პროცენტის პირობით**, **ზანვი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე დაარიცხოს და **საკრედიტო ლიმიტის** დაფაროს განვლილი **საანგარიშგებო პერიოდის** კუთვნილი **პროცენტი**.
- 5.2. **პროცენტი** იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე დაანგარიშებით.
- 5.3. **ზანვი** უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო, როგორც **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული თანხის ძირზე და **გადახარჯულ თანხაზე**, ასევე მათზე შესაბამისად დარიცხულ **საპროცენტო განაკვეთზე**, **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტზე**, **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტზე** და **ვადაგადაცილების ფიქსირებულ პირგასამტეხლო(ებ)ზე**.
- 5.4. **ზანვი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოჭრას **პროცენტი**, ისევე როგორც **საკრედიტო ბარათზე** რიცხული ნებისმიერი სხვა გადასახდელი იმ შემთხვევაშიც, თუ **საკრედიტო ბარათზე** არსებული ნაშთი არ არის საკმარისი **პროცენტის** ან/და შესაბამისი გადასახდელის დასაფარად. ამ შემთხვევაში **საკრედიტო ბარათის** ნაშთი გადააჭარბებს დაშვებულ **საკრედიტო ლიმიტს** და მოხდება **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა**.

6. საკრედიტო ბარათით გახარჯული თანხის გადახდა

- 6.1. **საკრედიტო ლიმიტის** სრულად ან ნაწილობრივ ათვისების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია ყოველთვიურად **გადახდის პერიოდის** განმავლობაში გადაიხადოს სულ მცირე **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე დარიცხული **მინიმალური გადასახდა**.

საკრედიტო ბარათის პირობები

6.2. **საკრედიტო ლიმიტის** და ნებისმიერი სხვა გადასახდელი(ებ)ის გადახდა განხორციელდება **საკრედიტო ბარათზე** თანხის **ბანკის** საგადახდო არხების (მათ შორის ბანკის სალაროს) საშუალებით მეთქანის ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ჩარიცხვის გზით.

6.3. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი თანხების **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე დროულად ასახვისთვის. ნებისმიერი შეფერხებისათვის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **კლიენტის** საკრედიტო ანგარიშზე თანხის ასახვის დაგვიანება პასუხს აგებს **კლიენტი**, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, **კლიენტის** ვალდებულებას გადაიხადოს ასეთი შეფერხების შედეგად მის ანგარიშზე დარიცხული **სრული დავალიანება** ან **ბანკის** მიერ დადგენილი მისი რაიმე ნაწილი.

6.4. დავალიანების დაფარვისას გადასახდელი თანხა იფარება შემდეგი თანმიმდევრობით: (ა) **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი**; (ბ) ყოველთვიური მომსახურების საკომისიო; (გ) **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი**; (დ) **ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო(ები)**; (ე) **გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი**; (ვ) დარიცხული პროცენტი; (ზ) დავალიანების ძირითადი თანხა. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს გადახდის სხვა თანმიმდევრობა.

6.5. **კლიენტს** არ დაერიცხება **პროცენტი საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებულ თანხაზე თუ **კლიენტი** ისარგებლებს **ნულოვანი პროცენტის პირობით. ნულოვანი პროცენტის პირობა** არ ვრცელდება **გადახარჯულ თანხაზე**.

6.6. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადაუხადოს **ბანკს საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე წარმოქმნილ **მინიმალურ გადასახადზე** მეტი.

6.7. მინიმალური საკრედიტო გადასახადის გადახდის პერიოდის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება** ან/და **კლიენტს** დააკისროს პირგასამტეხლო ტარიფებით დადგენილი ოდენობით.

6.8. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მითითებულ ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** და ნებისმიერი პირგასამტეხლოს სრულად გადახდა და **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მოთხოვნილი თანხები.

6.9. **საკრედიტო ბარათის მთლიანი დავალიანების ავტომატური დაფარვის სერვისი:**

6.9.1. **კლიენტი** უფლებამოსილია, **ბანკისათვის** შესაბამისი **განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების წარდგენის საფუძველზე, გააქტიუროს **საკრედიტო ბარათის მთლიანი დავალიანების** ავტომატური დაფარვის სერვისი (შემდგომში „დაფარვის სერვისი“).

6.9.2. დაფარვის სერვისის გააქტიურების შემდეგ ყოველი თვის 20 (ოცი) რიცხვიდან იმავე თვის 22 (ოცდარეი) რიცხვის ჩათვლით, განხორციელდება **ბანკში** არსებული **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ის შემოწმება და ხელმისაწვდომი ნაშთის არსებობის შემთხვევაში **კლიენტის მთლიანი დავალიანების** დაფარვის პირობის შესასრულებლად საჭირო თანხის ჩამოჭრა და აღნიშნული დავალიანების დაფარვა;

6.9.3. დავალიანების დაფარვა ხორციელდება, როგორც დავალიანების ვალუტაში **კლიენტის** ანგარიშზე რიცხული ნაშთებიდან, ასევე დავალიანების ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში რიცხული ნაშთებიდან;

6.9.4. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანების დაფარვა ხდება ანგარიშიდან, რომლის ვალუტა განსხვავდება დავალიანების ვალუტისაგან, დავალიანების დაფარვის მიზნით განხორციელდება შესაბამისი თანხის კონვერტაცია დავალიანების ვალუტაში იმ დროისათვის **ბანკში** არსებული კომერციული კურსის მიხედვით;

6.9.5. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე არ ირიცხება საკმარისი ნაშთ(ებ)ი **კლიენტის მთლიანი დავალიანების** სრული დაფარვის მიზნით, აღნიშნული დავალიანება დაფარება ნაწილობრივად შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე ხელმისაწვდომი ნაშთ(ებ)ის შესაბამისად;

6.9.6. **კლიენტს** ნებისმიერ დროს **ბანკში** შესაბამისი **განაცხადის** გაკეთების გზით შესაძლებლობა აქვს გაითიშოს დაფარვის სერვისი;

6.9.7. დაფარვის სერვისის გააქტიურებისას **კლიენტს** დაეკისრება სერვისის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო. აღნიშნული საკომისიოს გადახდა ხორციელდება **საკრედიტო ბარათის** ლიმიტიდან, მათ შორის **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის** ხარჯზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **საკრედიტო ბარათზე** ჯერ არ დაფიქსირებულა აქტიური ოპერაცია);

6.9.8. დაფარვის სერვისით სარგებლობისას ყოველი თვის 19 (ცხრამეტი) რიცხვში **კლიენტს** დაერიცხება სერვისით სარგებლობის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო. აღნიშნული საკომისიოს გადახდა (სრულად ან ნაწილობრივ) ხორციელდება **ბანკში** არსებული **კლიენტის** მიმდინარე ტიპის ანგარიშ(ებ)იდან (მათ შორის **საკრედიტო ბარათის** ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებული ანგარიშებიდან, რა შემთხვევაშიც საკომისიოს გადასახდელად განხორციელდება შესაბამისი თანხის კონვერტაცია დავალიანების ვალუტაში იმ დროისათვის **ბანკში** არსებული კომერციული კურსის მიხედვით);

6.9.9. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე არ არის საკმარისი თანხა ავტომატური დაფარვის სერვისის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს სრულად გადასახდელად, - აღნიშნული საკომისიოს დაუფარავი ნაწილის გადახდა მიხდება მოგვიანებით (სრულად ან ნაწილობრივ) **კლიენტის** ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხის გაჩენისთანავე, მათ შორის თუ ამ მომენტისთვის **კლიენტს** უკვე აღარ გააჩნია საკრედიტო ლიმიტი;

6.9.10. ავტომატური დაფარვის სერვისის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს 3 (სამი) თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში (მათ შორის **კლიენტის** მიმდინარე ტიპის ანგარიშზე საკომისიოს გადასახდელად საკმარისი თანხისუფალი ნაშთის არ არსებობის გამო), **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს საკომისიოს აკუმულირება და **საკრედიტო ბარათზე** შეაჩეროს ავტომატური დაფარვის სერვისი;

6.9.11. ავტომატური დაფარვის სერვისის ხელახლა გააქტიურება **კლიენტს** შეეძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დაფარავს აღნიშნული სერვისის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო დავალიანებას (ასეთის არსებობისას);

6.9.12. **საკრედიტო ბარათის** დაფარვის სერვისის ტარიფები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის დანართში #1.

7. ვადაგადაცილება და სანქციები

7.1. **კლიენტი** ვალდებულია, რომ წინამდებარე **პირობებით** დადგენილ ვადებში გადაიხადოს **საკრედიტო ბარათზე** არსებული თანხის დავალიანება.

7.2. **კლიენტი** ვალდებულია, რომ **საკრედიტო ბარათი** განკარგოს **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში და არ განახორციელოს **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა. ბანკის** თანხმობის გარეშე განხორციელებული კრედიტის გადახარჯვისათვის **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო ტარიფების შესაბამისად, რაც **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში უნდა იქნას გადახდილი **კლიენტის** მიერ.

7.3. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის** შემთხვევაში **კლიენტმა ბანკის** მიერ მითითებულ ვადაში უნდა დაფაროს **გადახარჯული თანხა** სრულად.

7.4. **გადახდის პერიოდის** განმავლობაში **მინიმალური გადასახადის** გადაუხდელობისას **ბანკი** უფლებამოსილია დაბლოკოს **საკრედიტო ბარათი** და დააკისროს **კლიენტს** შესაბამისი პირგასამტეხლო.

7.5. თუ **საკრედიტო ლიმიტის** ვადის განმავლობაში **კლიენტს** აღენიშნება 30 კალენდარული დღე ან მეტი ვადაგადაცილება, **ბანკი** უფლებამოსილია შეაჩეროს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება და მითითებულ **კლიენტისაგან საკრედიტო ბარათიდან** ათვისებული თანხის, მასზე დარიცხულ **პროცენტებთან**, პირგასამტეხლოსთან და საკომისიოებთან ერთად, დაუყოვნებლივ სრულად დაფარვა. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** დავალიანება უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ **კლიენტის** მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად, **ბანკი** უფლებამოსილია მითითებულ დავალიანების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

7.6. **საკრედიტო ბარათის დეფოლტის** შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **საკრედიტო ბარათი** და დაარიცხოს **კლიენტს დეფოლტის პირგასამტეხლო. საკრედიტო ბარათის** გაუქმება იწვევს ამ **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტას.

7.7. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს ან გააუქმოს **საკრედიტო ბარათი**, შეამციროს **საკრედიტო ლიმიტი**, მითითებულ **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ **პროცენტებთან**, პირგასამტეხლოებთან და საკომისიოებთან ერთად ან/და სრულად შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება**, თუ: ა) **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **პირობებს**; ან ბ) გაუარესდება **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობა ან დადგება მისი (**კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის) გაუარესების საფრთხე; ან გ) **ბანკის** შეხვედრებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა) საერთო ეკონომიკური მდგომარეობა; ან დ) **კლიენტის** მოქმედება მიმართულია **ბანკის** მოტყუებისაკენ, ან აღმოჩნდება რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია არასრულია ან/და მცდარია.

7.8. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს **საკრედიტო ლიმიტი**, თუ **საკრედიტო ბარათის** გაყვანიდან ან/და **საკრედიტო ლიმიტის** დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, **საკრედიტო ბარათზე** არ დაფიქსირდება აქტიური ოპერაცია (სადებეტო ბრუნვა). **საკრედიტო ლიმიტის** გაუქმებამდე (**საკრედიტო ლიმიტის** გაუქმება განხორციელდება მისი (**საკრედიტო ლიმიტის**) ბლოკირებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში) **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს საკრედიტო ლიმიტის** განბლოკვის მოთხოვნით. **საკრედიტო ლიმიტის** განბლოკვა წარმოადგენს **ბანკის** პრეროგატივას და ხორციელდება **ბანკის** მიერ დადგენილი წესით.

7.9. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების გარეშე გააუქმოს **საკრედიტო ლიმიტი**, თუ **საკრედიტო ბარათის** გაყვანიდან ან/და **საკრედიტო ლიმიტის** დამტკიცებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, **საკრედიტო ბარათზე** არ დაფიქსირდება აქტიური ოპერაცია (სადებეტო ბრუნვა).

7.10. **ბანკის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის ბლოკირების**, გაუქმების ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს **ბანკის** წინაშე არსებული ყოველგვარი დავალიანება. **ბანკი** უფლებამოსილია ასეთი დავალიანება უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ **კლიენტის** მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად, **ბანკი** უფლებამოსილია მითითებულ დავალიანების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

7.11. **კლიენტის დეფოლტის** შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია: ა) მითითებულ **კლიენტს** გახარჯული **საკრედიტო ლიმიტის ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში სრულად დაფარვა; ბ) დააკისროს წინამდებარე **პირობებით** დადგენილი

საკრედიტო ბარათის პირობები

ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი სანქცია; ან/და (გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულება.

8. ნებადართული ოპერაციები

- 8.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განახორციელოს მხოლოდ შემდეგი ოპერაციები:
- 8.1.1. საქონლის ან/და მომსახურების შეძენა სავაჭრო მომსახურების ობიექტებში (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ), ინტერნეტით და სხვა დისტანციური არხ(ებ)ის მეშვეობით;
- 8.1.2. თანხის განაღდება ბანკომატის/პოს ტერმინალის მეშვეობით;
- 8.1.3. კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდა ბანკომატისა და ინტერნეტის მეშვეობით;
- 8.1.4. **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ან სალაროში შეტანის გზით განთავსება;
- 8.1.5. VISA **საკრედიტო ბარათიდან** სხვა VISA ბარათზე გადარიცხვა **VISA P2P სერვისის** მეშვეობით;
- 8.1.6. არსებული საკრედიტო ბალანსის ან/და ხელმისაწვდომი ნაშთის შემოწმება.
- 8.2. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს ან/და შეევალოს **საკრედიტო ბარათის** ფუნქციონალი, რამაც შესაძლებელია გააფართოვოს ან შეზღუდოს წინამდებარე დოკუმენტის 8.1. ქვე-პუნქტში ჩამოთვლილი ოპერაციების სახეობები (მათ შორის და არამარტო შეუძლებელი გახადოს ბანკომატში ან/და პოს ტერმინალში თანხის განაღდება მოცემული ტიპის **საკრედიტო ბარათიდან**).

9. საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები

- 9.1. **საკრედიტო ბარათის** მომსახურების ტარიფები (ასევე მათი გადახდის პირობები) განისაზღვრება დანართით #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობებისა და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 9.2. **საკრედიტო ბარათზე** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა იწყება **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე პირველი ტრანზაქციის ასახვისთანავე. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა **საკრედიტო ბარათის** ანგარიშიდან **ბანკის** მიერ ხდება უაქცეფტო წესით თვეში ერთხელ **გადახდის პერიოდის** ბოლო დღეს **საკრედიტო ლიმიტიდან**, მათ შორის მისი (**საკრედიტო ლიმიტის**) გადახარჯვის ხარჯზე (საკომისიოს გადასახდელად **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთის არასაკმარისობის შემთხვევაში).
- 9.3. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დაანგარიშება საანგარიშო თვეში ბარათის გამოყენების ფაქტური კალენდარული დღეების მიხედვით არ ხდება. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხვად, **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა ხდება მთლიანი მოცულობით დამოუკიდებლად იმისა თუ რამდენი კალენდარული დღის განმავლობაში მოცემულ საანგარიშო თვეში სარგებლობდა **კლიენტი საკრედიტო ბარათით**.
- 9.4. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა ხდება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს და მისი (ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს) გათვალისწინება ხორციელდება კლიენტის მიერ გადასახდელ მინიმალურ / მთლიან გადასახადში.
- 9.5. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დაარიცხოს ტარიფების შესაბამისად განსაზღვრული **პროცენტი**, მომსახურების საკომისიო, **გადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი**, სხვა საჯარიმო სანქცია და ნებისმიერი გადასახდელი.
- 9.6. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეევალოს დანართით #1 განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურების ტარიფი (მათ შორის, **საპროცენტო განაკვეთი**), რის შესახებაც არანაკლებ ერთი თვით ადრე უნდა მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება პრესაში, ტელევიზიაში, საკუთარ ვებ-გვერდზე, **ბანკის** სრულყოფილ ერთულში განცხადების განთავსების გზით, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ბანკომატების ქსელის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინების გაგზავნით. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, იგი ვალდებულია მათ ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს** და სრულად მოახდინოს არსებული დავალიანების დაფარვა და **საკრედიტო ბარათის** დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ იგი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

10. საკრედიტო ლიმიტის ვალუტა

- 10.1. **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტა დამოკიდებულია **კლიენტის** არჩევანზე და შესაძლებელია იყოს **ლარი, აშშ დოლარი ან ევრო**.
- 10.2. თუ **კლიენტი** რაიმე ტრანზაქციას განახორციელებს **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტის გარდა ნებისმიერ სხვა ვალუტაში, ტრანზაქციის განახორციელებლად საჭირო თანხები კონვერტირებული იქნება **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტაში. კონვერტაცია მოხდება **ბანკის** მიერ ტრანზაქციის **ბანკის** ელექტრონულ სისტემაში გატარების თარიღისათვის არსებული კურსით, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს **კლიენტის** მიერ ტრანზაქციის განხორციელების თარიღის კურსისგან.

10.3. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ ნებისმიერ **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებულ ტრანზაქციების მიმართ **ბანკი** გამოიყენებს თავის მიერ დადგენილ გაცვლით კურსს.

10.4. **კლიენტი** თანახმაა, რომ ნებისმიერი ცვლილება გაცვლით კურსში ტრანზაქციის მიმართ გამოიყენება დაუყოვნებლივ, **კლიენტისათვის** ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე. განახლებული გაცვლითი კურსი იქნება გამოყენებული შესაბამისი ტრანზაქციის შედეგად გახარჯული თანხების კონვერტაციისას. ნებისმიერი ტრანზაქციის შედეგად გახარჯული თანხის კონვერტაციისას გამოიყენებული გაცვლითი კურსი შესაძლოა არ დემონსტრირებდეს ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებულ კურსს, რადგან თანხის კონვერტაციისას გამოიყენება იმ დღის გაცვლითი კურსი, როდესაც ტრანზაქცია გატარდება **ბანკის** ელექტრონულ სისტემაში.

11. პასუხისმგებლობა

- 11.1. **ბანკის** მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, **კლიენტი** პასუხისმგებელი და ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი **გადახდის პერიოდის** ბოლო დღისა გადაუხადოს **ბანკს** თავის **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე რიცხული შემდეგი დავალიანებები:
- 11.1.1. **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ **კლიენტის** საკრედიტო ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანება, მაშინაც კი თუ ბარათი გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისთვის იქნება გაუქმებული და ხელშეკრულება შეწყვეტილი;
- 11.1.2. ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული ოპერაციისათვის, თუ **კლიენტი** ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი ნებას დართავს ასეთ პირს განხორციელოს ტრანზაქცია;
- 11.1.3. **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევით განხორციელებულ ტრანზაქციებზე;
- 11.1.4. **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ნებისმიერი მესამე პირისთვის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე ასეთი პირის მიერ განხორციელებული ტრანზაქციებზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ბარათის**, მისი ნებისმიერი ნომრის ან კოდის მოპარვის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებს.

12. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ

- 12.1. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დოკუმენტაცია **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რა შემთხვევაშიც **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია.
- 12.2. თუ **კლიენტი ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება** ან/და გააუქმოს **კლიენტის საკრედიტო ბარათი** და მოითხოვოს ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** მის მიერვე დადგენილ ვადებში დაფარვა.

13. თანხების უაქცეფტო წესით ჩამოჭრა

- 13.1. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებაზე **საკრედიტო ბარათის** გადახდის დღეს მის (**კლიენტის**) მიერ **ბანკში** გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან ან აუთვისებელი **საკრედიტო ლიმიტიდან** მისი (**კლიენტის**) დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას თანხები **პირობების** შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივად დასაფარავად. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშზე რიცხული ან **საკრედიტო ლიმიტის** თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისთვის **ბანკში** დადგენილი კურსით, რომლის ღირებულებაზე ასევე უაქცეფტოდ ჩამოეჭრება **კლიენტს** ანგარიშიდან. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** წინამდებარე ქვე-პუნქტით გათვალისწინებულ უფლებაზე **საკრედიტო ბარათის** გადახდის დღის შემდგომ პერიოდზე, იმ შემთხვევაში თუ გადახდის დღეს მის (**კლიენტის**) ანგარიშზე არ ირიცხებოდა **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების დასაფარად აუცილებელი ხელმისაწვდომი ნაშთი.
- 13.2. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ან/და მისი (**კლიენტის**) თავდები პირის მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება.
- 13.3. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას **ბანკში** ამავდროულად გააჩნია ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილი სესხი, **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე რიცხული დავალიანების თანხა დაფაროს უზრუნველყოფილი სესხის თანხიდან. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც **ბანკი** მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების წარმატებით შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტი და **პირობების** სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეულ იქნება როგორც ცვლილება შესაბამის სესხის ხელშეკრულება(ებ)ში და

საკრედიტო ბარათის პირობები

ბანკი უფლებამოსილი იქნება **საკრედიტო ბარათის** დავალიანება სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი სესხის მეშვეობით.

14. დამატებითი ბარათები

- 14.1. **კლიენტი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **ბანკს** მესამე პირისთვის დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება და გადაცემა, რისთვისაც ის ანიჭებს **ბანკს** სრულ უფლებამოსილებას დაამზადოს დამატებითი ბარათ(ებ)ი და გადასცეს **კლიენტის** მიერ მითითებულ პირ(ებ)ს.
- 14.2. დამატებითი ბარათის საშუალებით მესამე პირს მიეცემა უფლება ისარგებლოს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტით** და ამ ბარათ(ებ)ზე სრულად ვრცელდება **საკრედიტო ბარათით** მომსახურების წინამდებარე **პირობები** და ხელშეკრულება.
- 14.3. **კლიენტი** ვალდებულია სრულად გააწიოს დამატებითი ბარათის მფლობელს წინამდებარე **პირობები**.
- 14.4. დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და თანხების დაბრუნებაზე პასუხს აგებს **კლიენტი**.
- 14.5. დამატებითი ბარათის მეშვეობით წარმოებული საბანკო ოპერაციების შედეგად თანხების ბრუნვა აისახება **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე. **კლიენტის** მიერ მოთხოვნილი დამატებითი ბარათების რაოდენობა არ შეიძლება აღმატებოდეს 3 (სამი) ბარათს თითოეული **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე.
- 14.6. **ბანკი** უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას **კლიენტს** დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადებასა და ნებისმიერი მესამე პირისთვის გადაცემაზე, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

15. ავტორიზაცია

- 15.1. **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** მეშვეობით გადახდის დასრულებამდე მოითხოვოს თავის მხრივ საბანკო ოპერაციის წინასწარი **ავტორიზაცია**.
- 15.2. **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციის **ავტორიზაციაზე**, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა **კლიენტს საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ტრანზაქციის განხორციელებისათვის საჭირო თანხა ან/და იმყოფება ვადაგადაცილებაში. აღნიშნული შეზღუდვის გარეშე შესაძლოა განხორციელდეს ტექნიკური სირთულეების, თანხის დატაცების თავიდან აცილების ან ნებისმიერი სხვა მსგავსი მიზეზების გამო. **კლიენტი** თანახმაა ასეთ შეზღუდვაზე და პრეტენზიას არ გამოთქვამს **ბანკის** მიერ ტრანზაქციის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

16. შეღავათიანი პირობები და წამახალისებელი აქციები

- 16.1. **ბანკი** უფლებამოსილია, რომ **საკრედიტო ბარათის** პროდუქტთან მიმართებაში **კლიენტისათვის** ყოველგვარი შეტყობინების გარეშე გამოიყენოს წამახალისებელი აქციები, **საკრედიტო ბარათის** პირობებზე თუ ტარიფებზე **კლიენტისათვის** დროებითი თუ მუდმივი ხასიათის შეღავათიანი პირობების დაწესებით. **კლიენტის** მიერ ასეთი წამახალისებელი აქციების დროს **საკრედიტო ბარათით** სარგებლობა გულისხმობს მის თანხმობას ასეთი აქციების პირობებზე.
- 16.2. **ბანკი** იტოვებს უფლებას გამოიყენოს **კლიენტის** ფოტოსურათი, სახელი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები თავისი ნებისმიერი მარკეტინგული მასალების მიზნებისთვის (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის სარეკლამო კამპანიას, პრომო აქციებს და ა.შ., რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

17. შეტყობინების ვალდებულება

- 17.1. **ბანკი** უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი პერიოდულობით **განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მოხილვით ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა საშუალებით აცნობოს **კლიენტს საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე არსებული დავალიანების შესახებ. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ შეტყობინების მიღებაზე და ასეთი შეტყობინების მიუღებლობა არ ათავისუფლებს **კლიენტს** ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** და ნებისმიერი სხვა გადასახდელის გადახდის ვალდებულებისგან. **კლიენტი** ვალდებულია **მინიმალური გადასახდელი** თანხის შესახებ ნებისმიერი მიზეზით **ბანკისგან** შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში, თავად დაუკავშირდეს **ბანკს** და მოითხოვოს ინფორმაცია თავისი მიმდინარე და **სრული დავალიანების** ოდენობისა და ვადების შესახებ.
- 17.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს საკრედიტო ბარათის განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

18. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

- 18.1. **ინფორმაციის დამუშავება.** **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის შედეგად **ბანკი** უფლებამოსილია განხორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაციის**

(მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება. მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღებულებას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გაფრთხილების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

18.2. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ **ბანკი**, მობილ **ბანკი**, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

18.3. **კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება** თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულება ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებ)ს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

18.4. **კონფიდენციალური ინფორმაციის** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** მესაკუთრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** ათავალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებ)ს** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

18.5. **ინფორმაციის გადაცემა/გამოთხოვა.** **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შედეგში თანხმობის გარეშე:

18.5.1. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადაც საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განხორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

18.5.2. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადაც საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მომსახურების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო, მაკონტროლებელ/საზედამხებველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს) გადასცეს ან/და **მესამე პირებისაგან** მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

18.5.3. **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია ბანკის** შვილობილ, აფილირებულ ან სხვა ნებისმიერ **მესამე პირებს** მათ მიერ სხვადასხვა მომსახურების შემოთავაზებების მიზნით.

18.5.4. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტთან (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740, შემდგომში - **კრედიტინფო**), შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში **კრედიტინფოს** მიაწოდოს ინფორმაცია **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პორცენტს, მოქმედების ვადას, **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

18.5.5. მისცეს თანხმობა **კრედიტინფოს**, რომ **ბანკის** მიერ **კრედიტინფოსთვის** მიწოდებული **კლიენტების** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელების** მონაცემები **კრედიტინფომ** გადასცეს **მესამე პირებს**, იმ პირობით, რომ **ბანკის** მიერ მიწოდებული **კლიენტის** ან ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მონაცემების მიწოდება მოხდება იმ **პირებისთვის**, რომლებიც თავადაც აწვდიან **კრედიტინფოს** აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება **კრედიტინფოსთან**;

18.6. **პირდაპირი მარკეტინგი.** **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელებდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა, მანამ სანამ **ბანკი კლიენტისგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული

საკრედიტო ბარათის პირობები

სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები კლიენტს მიეწოდება უშუალოდ ბანკის მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან ბანკის კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი და სხვა).

18.7. **საავტორო უფლებები.** კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ ბანკის ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული კლიენტის მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება კლიენტის პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება ბანკის საკუთრებად და ბანკი აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

18.8. **მონაცემების განახლება და შენახვის ვადა.** ბანკის მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ამასთან, იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც კლიენტის მიერ ბანკს მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, ბანკის ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, ბანკის მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება კლიენტის მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

18.9. **კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის კლიენტს მის შესახებ ბანკში არსებულ ინფორმაციას.** აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე ბანკს ცალმხრივად აქვს უფლება დააწყოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.

თუ კლიენტი თვლის, რომ კლიენტის შესახებ ბანკში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ.

19. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

19.1. წინამდებარე პირობები რეგულირდება და განმარტდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19.2. ნებისმიერი დავა, წინამდებარე ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

19.3. თუ მხარეები შეთანხმებულ ვერ მიაღწევენ მოლაპარაკების გზით, ისინი უპირობოდ თანახმა არიან, შეიტანონ საჩივარი სასამართლოში ბანკის ოურდული მისამართის შესაბამისად.

20. დასკვნითი დებულებები

20.1. **უფლებამოსილებათა გადაცემა.** ბანკის წინასწარი შეტყობინების გარეშე კლიენტი უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს.

20.2. იმ შემთხვევაში თუ ბანკი გამოიყენებს 20.1. პუნქტში მითითებულ უფლებას ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, კლიენტი თანხმობას აძლევს რომ ბანკს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია გადასცეს კლიენტის ან/და კლიენტის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს, აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას კლიენტის კანონის მიერ უფლებებზე.

20.3. **ხელშეკრულების პირობების დამოუკიდებლობა.** თუ წინამდებარე პირობების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების ოურიდიულ ძალაზე.

20.4. **სათაურები და განმარტება.** წინამდებარე პირობებში აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა ხელშეკრულების პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

20.5. **საკრედიტო ბარათის მოქმედების შეჩერება.** უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თუკი წარმოიქმნება ეჭვის საფუძველი, რომ საკრედიტო ბარათი შეიძლება გამოყენებულ იქნას არასანქცირებულად ან/და თაღლითურად, ასევე თუკი ბანკს მიაჩნია, რომ კლიენტი ვერ შეძლებს საკრედიტო დავალიანების სრულად ან/და დროულ დაფარვას, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად, წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე შეწყვიტოს საკრედიტო ბარათის მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეატყობინოს მიღებული გადაწყვეტილების მიზეზის შესახებ.

20.6. ბანკის მიერ წინამდებარე პირობების 20.5. პუნქტში მითითებულ უფლებებს გამოყენება არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას ვიდრე კლიენტი სრულად არ დაფარავს თავის საკრედიტო დავალიანებას, იგი გაგრძელებულად ითვლება იგივე პირობებით და კლიენტი ვალდებულია სრულად შეასრულოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ყველა და ნებისმიერი ვალდებულება.

20.7. ბანკს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეწყვეტილი საკრედიტო ბარათის მოქმედება აღადგინოს თუკი წინამდებარე პირობების 20.5. პუნქტში აღნიშნული შეწყვეტის საფუძველი აღარ იარსებებს და კლიენტის მიერ მოწოდებული იქნება ინფორმაცია აღნიშნული შეწყვეტის საფუძველების არარსებობის შესახებ.

20.8. **საკრედიტო ბარათის პირობების ცვლილება და შეტყობინებები.** ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ პირობების ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კლიენტს ბანკის საინფორმაციო საშუალებების (ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის და ა.შ.) მეშვეობით.

20.9. კლიენტის მიერ ბანკიდან ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

20.10. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც კლიენტის მიერ წინასწარ არის მითითებული.

20.11. კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება ბანკის მიერ ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

20.12. თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

20.13. **უფლებების გამოყენებლობა.** ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული უფლებების გამოყენებლობა არ გულისხმობს ამგვარ უფლებებზე ან/და მათ შემდგომ გამოყენებაზე უარის თქმას.

20.14. ყველა დანარჩენი საკითხი რაც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე პირობებით რეგულირდება ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობების შესაბამისად.

20.15. **ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი.** კლიენტი უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით ბანკის ფილიალის ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: pretenzia@libertybank.ge ბანკში დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

20.16. ბანკის მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) საბანკო დღეს.

20.17. კლიენტს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ბანკის მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას ბანკის ვებ-გვერდის www.libertybank.ge საშუალებით.

20.18. **ხელშეკრულების შეწყვეტა.** კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ სრულად გადაიხდის საკრედიტო ლიმიტის ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ სარგებელსა და ასევე პირგასამტეხლოებს. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ რაც კლიენტი სრულად დაფარავს დავალიანებას და დაუბრუნებს ბანკს საკრედიტო ბარათს და ყველა დამატებით ბარათს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

20.19. ბანკს უფლება აქვს შეტყობინების გაგზავნის გარეშე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ბანკის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს პასუხისმგებლობისგან, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საკრედიტო ლიმიტის ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლოების გადახდას.

20.20. ბანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილ ვადაში დაფაროს მასზე რიცხული დავალიანება სრულად.

20.21. ბანკს უფლება აქვს კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, თუ ჩათვლის საჭიროდ, ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეაჩეროს საკრედიტო ბარათის მოქმედება ან/და არ მისცეს ავტორიზება კლიენტის მიერ საკრედიტო ბარათით განხორციელებულ ოპერაციებს, რაზედაც ბანკი არ აცხადებს პასუხს. ბანკის მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება არ წვევს ხელშეკრულების მოქმედებას და არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები

	Magic Card	Teacher's Card	Shopping Card
ძირითადი ბარათი / დამატებითი ბარათი:			
ბარათის მოქმედების ვადა:	6 (ექვსი) წელი		
ძირითადი ბარათის დამზადების ღირებულება:	უფასო		
დამატებითი ბარათის დამზადების ღირებულება:	20.00 ლარი, 10.00 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	10.00 ლარი	15.00 ლარი
ყოველთვიური მომსახურების საკომისიო (ვრცელდება მხოლოდ ძირითად ბარათზე):	3.00 ლარი, 1.50 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	1.50 ლარი	3.00 ლარი
დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო:	20.00 ლარი, 10.00 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	10.00 ლარი	15.00 ლარი
საკრედიტო ლიმიტის პირობები:			
საკრედიტო ლიმიტის მოცულობა:	ინდივიდუალური, - არაუმეტეს თვიური შემოსავლის ორმაგი მოცულობისა - მაქსიმუმ 5,000 ლარი / 2,500 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	ინდივიდუალური, არაუმეტეს თვიური შემოსავლის ორმაგი მოცულობისა - მაქსიმუმ 5,000 ლარი	
საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების საკომისიო:	არ არის გათვალისწინებული		
წლიური საპროცენტო განაკვეთი (ნებისმიერ ვალუტაში):	<ul style="list-style-type: none"> 24.00% - პირადი ბანკირის სამსახურის კლიენტები; 28.00% - მეანაბრები, ლიბერთი ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელები, ვადიანი ანაბრით უზრუნველყოფილი Magic Card-ის მფლობელები, ბანკის და ბანკის შვილობილი კომპანიების თანამშრომლები, ლიბერთი ანგარიშის ყველა მომსახურებით მოსარგებლე კლიენტები და სხვა ნებისმიერი სპეციალურად დადგენილი ბანკის კლიენტები (დგინდება გენერალური დირექტორის ბრძანებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში); 36.00% - დანარჩენი კლიენტები. 	28.00%	26.00%
ბარათიდან თანხის განაღდებას საკომისიო:			
ლიბერთი ბანკის ბანკომატებში და სერვის ცენტრებში:	<ul style="list-style-type: none"> ლარში დენომინირებული ბარათი - 3.00% მინიმუმ 3.00 ლარი; ა.შ.შ. დოლარში / ევროში დენომინირებული ბარათი - 3.00% მინიმუმ 1.50 ერთეული შესაბამის ვალუტაში. 	1.00% მინიმუმ 1.00 ლარი	ბარათიდან თანხის განაღდება გათვალისწინებული არ არის
სხვა ბანკის ბანკომატებში და სერვის ცენტრებში:	<ul style="list-style-type: none"> ლარში დენომინირებული ბარათი - 4.00% მინიმუმ 4.00 ლარი; ა.შ.შ. დოლარში / ევროში დენომინირებული ბარათი - 4.00% მინიმუმ 3.00 ერთეული შესაბამის ვალუტაში. 	4.00% მინიმუმ 4.00 ლარი	ბარათიდან თანხის განაღდება გათვალისწინებული არ არის
ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა:			
საქართველოში:	უფასო		
საზღვარგარეთ:	უფასო		

ბარათის გამოყენების დღიური ლიმიტები:			
განაღების ოპერაციები	2,000 ლარი ან აღნიშნული თანხის ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში		ბარათიდან თანხის განაღდება გათვალისწინებული არ არის
გადახდის ოპერაციები	5,000 ლარი ან აღნიშნული თანხის ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში		
ბარათიდან ბარათზე თანხის გადარიცხვა - VISA P2P სერვისი (მხოლოდ Visa ბარათების შემთხვევაში):			
ლიბერთი ბანკის მიერ ემიტირებულ ბარათზე:	<ul style="list-style-type: none"> ლარში დენომინირებული ბარათი - 3.00% მინიმუმ 3.00 ლარი; ა.შ.შ. დოლარში / ევროში დენომინირებული ბარათი - 3.00% მინიმუმ 2.00 ერთეული შესაბამის ვალუტაში. 	1.00% მინიმუმ 1.00 ლარი	ბარათიდან თანხის გადარიცხვა VISA P2P სერვისით გათვალისწინებული არ არის
სხვა ბანკის მიერ ემიტირებულ ბარათზე:	<ul style="list-style-type: none"> ლარში დენომინირებული ბარათი - 4.00% მინიმუმ 4.00 ლარი; ა.შ.შ. დოლარში / ევროში დენომინირებული ბარათი - 4.00% მინიმუმ 3.00 ერთეული შესაბამის ვალუტით. 	2.00% მინიმუმ 2.00 ლარი	ბარათიდან თანხის გადარიცხვა VISA P2P სერვისით გათვალისწინებული არ არის
საჯარიმო სანქციები			
ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო:	20.00 ლარი, 15.00 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	20.00 ლარი	20.00 ლარი
ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი:	0.50% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე		
საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო (ერთჯერადი):	50.00 ლარი, 30.00 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	50.00 ლარი	50.00 ლარი
საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი:	გადახარჯული თანხის წლიური 32.00% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე		
დავალიანების ავტომატური დაფარვის სერვისი			
სერვისის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო:	5.00 ლარი, 3.00 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	2.50 ლარი	5.00 ლარი
სერვისის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო:	1.00 ლარი, 0.50 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	0.50 ლარი	1.00 ლარი
სხვა პირობები			
ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა:	უფასო		
ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმა:	80.00 ლარი, 50.00 ა.შ.შ. დოლარი / ევრო	80.00 ლარი	80.00 ლარი
PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით:	1.00 ლარი ან აღნიშნული თანხის ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში	1.00 ლარი	1.00 ლარი